№ 43

ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 43

ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი
### უკანასკნელი წარმოდგენა.

შაბათს, 27 თებერვალს,

**ბენეფისი რეჟისორთა ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა**

ქ-ნ ეფ. მესხის, ნატ. რეხეილისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ბ-ნ ვ. გუნიასი და მთელის დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I

**სულთა-მხუთავი**

დრამა ხუთ-სურათად თარგმ. დ. მესხის მიერ.

II

პირველად განახლების შემდეგ

**ეჭვები**

ფარსი 3 მოქმედ. გადმოკ. თ. სახოკიას და ვ. გუნიას მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასსაში.

**ფოთის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 14 მარტს ამა წლისას დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში 1898 წლისა.
2. 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
3. არჩევანები საბჭოს ორის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით.
4. არჩევანები გამგეობის თავმჯდომარის და დირექტორისა, იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით ან ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავს ანებებენ.
5. არჩევანები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და იმათის კანდიდატებისა.

საზოგადოების წესდების მე-36 მუხლის ძალით საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო საზოგადო ნოტარიული რწმუნებითი ფურცელნი წარდგენილ უნდა იქმნან გამგეობაში კრებამდე სამის დღით ადრე, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის მარტის 11 რიცხვისა.

(3—6—1)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ხ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარამეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2½ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ხ. ა. ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა პოდპორუჩიკობა—ტენგინის ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს ლობჟანიძეს.

დანიშნულ იქმნენ: ქალაქ ტფილისის მე-3 ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე თავადი ჰაჰავაძე—ქ. ტფილისის პირველ ნაწილის მომრიგებელ მოსამართლედ; ტფილისის სამოსამართლო პალატის უმცროსი მიწის-მზომელი მახარაძე—უფროს მიწის-მზომელად.

გამწესებულ იქმნა ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული მესხაძე—ტოპოგრაფად.

დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ტფილისის გუბერნატორი ბიკოვი და კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგე მკურნალი გლავაცკი.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 28 თებერვალს, სრულდება 25 წელი მას აქეთ, რაც ქალაქში დაარსდა წყალში დარჩობისაგან გადამრჩენი საზოგადოება. ამ დღეს მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე პარაკლისს გადიხდის რიყეზე, დარჩო არუთინოვის სადგურთან. თუ ცუდი ტაროსი იქმნება ამ დღეს, პარაკლისი გარდახდილ იქმნება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

*** გუშინ ვწერდით, რომ 20 თებერვალს კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭომ განიხილა პროექტი კავკასიაში სასოფლო-სამკურნალო ნაწილის გადაკეთების შესახებაო. პროექტით საჭიროდ არის ცნობილი, რომ თითო მაზრაში ერთის მკურნალის ნაცვლად ორი იყოს დანიშნული, ამასთან იმ ადგილებში, სადაც მკურნალი იქმნება, დაარსებულ იქმნას, აწ არსებულის ქსენონის ნაცვლად, სოფლის სამკურნალო, სადაც პირველ ხანს ექვსის ავადმყოფის მოთავსება შეიძლებოდეს, ხოლო შემდეგ თანდათან ადგილები მომატებულ უნდა იქმნას. თვითეულ მკურნალის განკარგულებაში უნდა იყვეს ერთი უფროსი და ორი უმცროსი ფერშალი.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება მოხდება 6 მარტს.

*** ორშაბათს, 1 მარტს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ის საქმეები, რომლებიც წინა კრებაზე განუხილავი დარჩა და გარდა ამისა მოხსენება ქალაქის გამგეობისა ტრაქტირების გაღების შესახებ და მეეტლეთა უსტაბაშის თხოვნა, რომელშიაც ნათქვამია: გვადროვეთ ცხენებზე გაწერილ გარდასახადის შემოტანაო.

*** გუშინ, 24 თებერვალს, პეტრე-პავლეს ეკკლესიის სამზრუნველომ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, 200 ნერგი მოგვეცით გასაშენებლად სასაფლაოზეო. გარდა ამისა სამზრუნველო სთხოვს გამგეობას უფასოდ მოგვეცით წყალი ამ ეკკლესიასთან დასაარსებელ სკოლის შენობისთვისაო.

*** უმაღლესად დამტკიცებულ ნება-რთვის გამო, რომლითაც ქალაქების თვით-მმართველობათ უფლება ეძლევათ გარდასახადი გააწერონ ცხენების გარდა სხვა პირუტყვებსაც,

## ფელეტონი

### ბავშვების შინაური აღზრდა ბარად და მთაში.

„შინაური აღზრდა არის ის საფუძველი, რომელზედაც სკოლამ უნდა ააგოს ლამაზი შენობა.

„იქონიეთ სულგრძელება: ხან-დახან თქვენის მეზობლის აზრიც მოისმინეთ თქვენის შვილების შესახებ“.

სლომბეკი

არა ერთხელ მსმენია ბარად: „გენაცვალე, მასწავლებელო, ერთი რას გეხვეწები: ი ჩემი ბავშვი მეტად კერპი და გაუგონარია, დატუქსე, შიში მიეცი, აგები გონს მოვიდეს, ჰქვა ისწავლოსო!“ ამის შესახებ ბევრი მისაუბრია თვით ბავშის პატრონთან და ჩემთვისაც დავფიქრებივარ ამ გარემოებას, რომ ექვსი-შვიდის, თუნდა ათი-თორმეტის წლის ბალანა დედმამის ურჩი და გაუგონარი როგორ უნდა იყოს-მეთქი? მაგრამ როცა სოფელში ამივლ-ჩამივლია და ყურადღება მიმიქცევია ჯერ მშობელთა და შობილთა ურთიერთობისა და მერე რომელისამე უბნის დიდთა და პატარათა დამოკიდებულებისათვის, მაშინ-კი მითქვამს: ბავშვების პატრონთა სიტყვები სიმართლე უნდა იყოს-მეთქი და ძალიან დავღონებულვარ!..

მე ამ საგნის შესახებ საუბარი საყურადღებოდ დავინახე იმის გასაგებად, თუ როგორ ასრულებს ეხლანდელი ჩვენი სოფლის ოჯახი იმ მოვალეობას, რომელიც ვალად აძევს ბავშვის ზნეობრივად [1]) და გონებრივად აღსაზრდელად, ვიდრე იგი სკოლაში შესვლას შესძლებდეს, ან ხალხში, საზოგადოებაში გამოვიდოდეს ოჯახის დასახმარებლად; აქედგან დავინახავთ, თუ რამდენად მომზადებული შესდგამს ბავშვი ფეხს პირველ დაწყებითს სკოლაში; აქედამვე შეგვიძლიან გავითვალისწინოთ, თუ რამდენად მიანება თავი ჩვენმა ოჯახმა შინაურ აღზრდა-წვრთნას, რამდენად განცალკევდა მეზობელი მეზობელს ამ საერთო საქმეში და ამისგამო რამდენად დაწვრილმანდა, გაფუქსავატდა ჩვენი სოფელი.

ბავშვს ხუთ-ექვს წლამდე დედ-მამის კალთა აფარია, იგი შინაურების გავლენის ქვეშ იმყოფება, იმათ ზნე-ხასიათს ითვისებს; ისინი სწრთვნიან თავისს გემოვნებისამებრ: ზოგი შინაურთაგანი ანებრივებს ბავშვს, ეხუმრება და ამ ხუმრობაში უფრო არა სასურველ ზნე-ჩვეულებასა და ყოფაქცევას უნერგავს; ბავშვის გულუბრყვილო ტიტინი ართობს, ახარებს, მაგრამ ის-კი არ იცის, რომ ამ გვარ გართობა-სიხარულში მეტი წილი უხეირო თესლია, რომელიც ბავშვის გულში ბინას ჰპოულობს, იქა რჩება. ზოგი შინაურთაგანი პირველის წინაალმდეგ იქცევა იმავ ბავშვის წრთვნის დროს და შეძლების დაგვარად არიდებს ცუდ ზნე-ჩვეულებას, უკრძალავს უწმაწურ ლაპარაკს, აცნობს ოჯახის უფროს-უმცროსთ, ასწავლის იმათს პატივისცემას და სხ. ამ გვარად, ერთის ჯგუფის შინაურ აღმზრდელთა უხეირო თესლი და მეორე ჯგუფის ასე თუ ისე კეთილი თესლი ბავშვის გულში გვერდისგვერდ იძინებს დრომდე, დამწიფებამდე, კაცობამდე. ვფიქრობ, რომ თუ გარედ, ხალხში, საზოგადოებაში გამოსვლის დროს ბავშვს კეთილად აღმზრდელი გარემოება მოჰარბებულად შეხვდა, მაშინ შეიძლება გულუბრყვილობის ჟამს ჩარჩენილი უმსგავსი თესლი კეთილმა დასჩრდილოს, დაახშოს, აღმოფხვრას, თუ არა-და, რაც უფრო ხშირად ხდება ხოლმე,—ბოროტი უთუოდ სძლევს კეთილს [2]). ასეთია თვისება ადამიანის ბუნებისა.

ბარის ქართველებში ეხლანდელი სოფლის ოჯახი ძალიან მცირედ აქცევს ყურადღებას ბავშვის ზნეობრივადა და გონებრივად აღზრდას. ოჯახის გარეთ მეზობლებში, სოფელში ბავშვს ხომ თითქმის აღარავითარი წრთვნა და აღზრდა აღარ მოელის; იგი აქ თავისუფალი ხდება და, თუმცა ჯერ პატარაა, უასაკოა, მაინც, როგორც წლოვანი ადამიანი, თავისუფლად ჰმოქმედებს. ბავშვის ყოფა-ქცევას ახლა არამც თუ არავინ არ ადევნებს თვალ-ყურს, მის უზნეობას არა ჰკიცხავს და საქებისაკენ ხელს არ უმართავს, არამედ ყველა იმას გაიძახის: რა ჩემი საქმეა, ჩემი შვილი, ან ძმა ხომ არ არისო! ეს პასუხი იმის შედეგია, რომ დედმამა ძალიან ხშირად ესარჩლება ხოლმე თავისს შვილს, თუ რომ მეზობელმა შენიშნა: თქვენი ბალღი ცუდის ყოფა-ქცევისაა, დაუშალეთ, კარგი არ არისო! ბევრჯელ მინახავს, რომ კარის მეზობლებს ერთმანერთი ებევქოთ ბავშვების ეშმაკობის გამოლანძღვა-თრევას ხომ ანგარიში არა აქვს. განა თუ ბავშვს გაამტყუნებენ და დარიგებას მისცემენ, უფრო აქეზებენ ამ ნაირის წასარჩლებით. აქედგან გამოდის ის, რომ ოჯახში უხეირო და სუსტის ზრდილობის ბავშვი ოჯახს გარეთ იმ ზრდილობა-წვრთნასაც ივიწყებს, რადგან მეთვალ-ყურე არავინა ჰყავს და, თუ ათაში ერთხელ იმის დედ-მამას შესწვდა შვილის უზნეო ქცევის ხმა, ისიც, როგორც დავინახეთ, ბავშვისავე ქომაგით თავდება. ამ გვარად გაწრთვნილმა და გათამამებულმა ბავშმა სრულიად აღარ იცის არამც თუ სოფელში, თვით საკუთარ ოჯახშიაც ვინ უფროსია და ვინ უმცროსი, ვინ თავისიანი და ვინ უთავისო, ვინ ნაცნობი და ვინ უცნობი, ვინ მოხუცებული და პატივ-საცემი, ვინ მღვდელი და ვინ ერი! მე ჩემის თვა-

[1]) არ შევეხები იმ ზნეობრივ აღზრდის მხარეს, რომელიც ღვთის მსახურების სფერაში გადადის, თუმცა უამისოდ ბავშვის აღზრდა შეუძლებელია.

[2]) რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ შთამომავლობით გარდანაცემი ზნე-ხასიათიც, რომლის სინამდვილეს თვით უვიცი ხალხიც აშკარად ჰყოფს.

ტფილისის ქალაქის გამგეობა შეუდგა მოხსენების შედგენას იმის შესახებ, რომ გარდასახადი იქმნეს გაწერილი ხარებზე, კამეჩებზე, ჯორებზე და სახედრებზე, რომლებითაც ქალაქში ტვირთს ეზიდებიან.

*** 23 თებერვალს, კრებაზედ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა ახალს წევრს გამგეობისას მ. ს. შესტაკოვს მიანდოს მეორე განყოფილების (შემოსავალ-გასავლის) გამგეობა.

*** გუშინ წინ, 23 თებერვალს, ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ბ-ნმა ტიგრანოვმა, როგორც „კავკასი" იუწყება, შეიტანა გამგეობაში განცხადება, რომელშიაც ამბობს, რომ რადგანაც ქალაქის მოურავმა 22 თებერვალს საბჭოს კრებაზედ ხმ. ხუდადოვის მიმართ იხმარა შეუფერებელი სიტყვა „ეს ტყუილია"-ო, ამიტომ მან ქალაქის საბჭოს კრების დროსვე ბოდიში უნდა მოიხადოს ხმ. ხუდადოვის წინაშეო.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა, როგორც გაზეთი „კავკ."-ი იუწყება, დაადგინა დახმარება აღმოუჩინოს ქუთაისის გუბერნიის იმ სახალხო სკოლებს, რომელთაც აზრადა აქვთ ამერიკული ვაზი გააშენონ თავიანთ ბაღებში. სხვათა შორის განზრახულია ამერიკული ვაზი გააშენონ რაჭის მაზ-ის პატარა ონის სკოლასთანაც.

*** როგორც იგივე გაზეთი იუწყება, პირველ მარტიდგან დაიწყება მიღება იმათი, ვისაცა ჰსურს მუშა-პრაქტიკანტად შევიდეს საქარის სანერგესთან არსებულ კურსებზედ ამერიკულის ვაზის მოვლა-მოშენების საქმის შესასწავლად. თუ მსურველი ბევრი იქმნება, მაშინ გამოსცდიან, და ვინც უფრო მომზადებული აღმოჩნდება, იმათ მიიღებენ.

*** ადგილობრივ რუსულ გაზეთებს ქუთაისიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქუთაისსა და ონს შუა გზა გაწმენდილ იქმნა; ამ გზაზედ უკვე მარხილები დადიანო.

*** «კავკასს» ატყობინებენ, რომ სამსახურს გარეშე მყოფმა პოდპოლკოვნიკმა თავ. მ. ჯანდიერმა, აზნაურმა ი. დ. იორამიშვილმა, თიონეთის მაზრის სასოფლო მკურნალმა მუხარინსკიმ და ბლაღოჩინმა მღვდელმა ვ. გძელიშვილმა განიზრახეს დააარსონ თიონეთის მაზრის სოფელ ახმეტაში სასალხო უფასო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. ამ წიგნთ-საცავის წესდება უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

ბათუმი. 21 თებერვალს ქუთაისის ქართულ დრამატ. დასისაგან ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა აქ „სამშობლო". წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ არტისტებს როლის უცოდინარობა ეტყობოდათ.

*** ქ. სოხუმი. დიდის ხნის ლოდინის შემდეგ ჩვენს ქალაქსაც ეღირსება თვით-მმართველობა. ამ წლის 3, 4, 5 და 6 მარტს დანიშნულია ქალაქის ხმოსანთა არჩევანები. ამორჩეულ უნდა იქმნას 41 ხმოსანი. ამომრჩეველთა მოვალეობაა, რასაკვირველია, აარჩიონ ხმოსნებად პატიოსანნი და ქალაქის საქმეების ცოტად თუ ბევრად მცოდნე კაცები. საუბედუროდ ამომრჩეველთა უმეტესობას არ გაეგება, რას ჰნიშნავს თვით-მმართველობა და რა უფლება აქვს მას.

ჯერ-ჯერობით, დანამდვილებ თ ქალაქის მოურავად არავის არ ასახელებენ, მხოლოდ ამას წინეთ რამოდენიმე ამომრჩევლები შეიკრიბნენ, უნდოდათ წერილით ეთხოვნათ პროფესორ ა. ოსტროუმოვისათვის, რომელიც ამ ჟამაც მოსკოვში იმყოფება, სოხუმის ქალაქის მოურავობა ეკისრა. მაგრამ რამდენმამე კაცმა წინააღმდეგობა განაცხადა და უდროვოდ სცნო ხმოსანთა ამორჩევამდის წერილის მიწერა. პროფესორი ოსტროუმოვი თუმცა ნახევრად სოხუმში სცხოვრობს და მამულიც აქვს აქ, მაგრამ არა გვგონია, მან სოხუმის ქალაქის მოურავობა იკისროს.

*** ქობულეთი. ქობულეთის საზოგადოებას, ბევრის ნატვრის შემდეგ, ეღირსა სკოლის დაარსება. სკოლაში 80-მდე ყმაწვილი სწავლობს; ამათში ნახევარზედ მეტი ქართველ-მაჰმადიანთა ბავშვები არიან, რომელთაც ქართულ ენის გარდა, სხვა ენა სრულიად არ იციან. სკოლაში სწავლა რუსულსა და თათრულს ენაზედ სწარმოებს. მასწავლებელი ორია, ერთი განჯელი თათარი, რომელმაც ქართული ენა არ იცის და მეორეც რუსია, აგრეთვე ქართულის არა-მცოდნე. საღმრთო სჯულის ისტორიას და ლოცვებს ხოჯა ასწავლის, რომელიც დიდი ფანატიკოსია.

*** ქალაქის საბჭოს სათანადო კომისიამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, დააჩქარეთ და დროით გადმოგვეცით განსახილველად ამ მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტიო.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ, როგორც „ახ. მიმ." იუწყება, შუამდგომლობა აღძრა უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაწესებულ იქმნან განსაკუთრებული დარაჯნი იმათ თვალ-ყურის სადევნად, რომელნიც ერთ ადგილას არა სცხოვრობენ და ერთის ადგილიდგან მეორემზედ გადადიან, როგორც, მაგალითად, მეცხვარენი და სხვანი. ეს შუამდგომლობა გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ხშირად მეცხვარეებს საქონლის გადარეკვის დროს ჩხუბი მოსდით ხოლმე, როგორც ერთმანეთ შორის, აგრეთვე გარეშე კაცებთან. ამ ჩხუბებს ხშირად მკვლელობაც-კი მოჰყვება ხოლმე.

*** სავაჭრო სახლმა „მმ. ცოვიანოვებმა" ხელ-ახლა მიჰმართა მიწად მოქმედების რწმუნებულს და სთხოვა, ნება მოგვეცით გოგჩის ტბაზედ ნავოსნობა გავმართოთო.

*** თელავიდგან სწერენ გაზ. „ტფ. ფურ."-ს: „ერთი კვირაა, რაც ჩვენი ქალაქი მოწყვეტილია მთელ ქვეყანას. ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ იმის გაწმენდა მუშებს ძრიელ უჭირთ. ფოსტის გადატანას გომბორზედ სადგურის ყველა ცხენები მოანდომეს. თელავში ამ ჟამად ბევრნი არიან ჩამომხდარნი, რომელნიც კახეთიდგან ტფილისში აპირებენ წასვლას. ჰფიქრობენ, რომ გზა მალე არ გაიწმინდებაო.

*** ბათუმის ქართველთა სასწავლებელში, სადაც აქამდის მოსწავლეთა რიცხვი მაინცა და მაინც არ იყო შესამჩნევი, დღეს სწავლობს 160-მდე ყმაწვილი. მოსწავლეთა ასეთი რიცხვი ჩვენის სკოლისთვის მეტად შესამჩნევად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ მას დღითი დღე კიდევ ემატებიან ყმაწვილები. მოსწავლეთა შორის 30 ყმაწვილი ქართველი მაჰმადიანია და დანარჩენი — ქართველი მართლ-მადიდებელნი, ქართველ კათოლიკეთა შვილები, ოთხი ბერძენი, სომეხი და ებრაელი. მაჰმადიანი ამდენი ბავშვი ხშირად არა ყოფილა ამ სკოლაში. აქვე მოგვყავს ქართველ მაჰმადიან მოსწავლეთა სახელი და გვარი: ჰასან დიასამიძე, სულეიმან დიასამიძე, იუსუფ კომახიძე, სულეიმან ჩიჩინაძე, აჰმედ ჩიჩინაძე, მერიფ ხადე ოღლი, სულეიმან ორბატიძე (ოღლი), ჰასან ჩალაძე, დურსუნ ქიქავა, მამედ კალვინჯ-ოღლი (კალანდარაშვილი), ჰასან ორბეტ-ოღლი, ჯემალ ჩურუხია, მეჰმედ მოღ-ოღლი, რეშიდ კალიბერი, ჰუსეინ ჩურუხია, აიდარ აბაშიძე, ახმედ ლადარია, თეოფიკ შირინან ოღლი, მუსტაფა რეზი-ოღლი, ოსმან ჩავუნ-ოღლი, იბრაიმ ეფენდ ოღლი, მეჰმედ ბერელ ოღლი (გვარამაძე), იუსუფ ბერედ-ოღლი, იუსუფ აბაშიძე, ჰასან თავდგერიძე, ემინ თავდგერიძე, მუქრი მახაცკაძე, მაჰმედ ომერ-ოღლი, ჰასან მიქელაძე და გუბ მიქელაძე.

თორმეტი ბავშვი პირველ განყოფილებაშია, დანარჩენი — მეორე და მესამეში. ბავშვებს სწავლაში დიდი ხალისი ემჩნევათ, ყველა მარტივად წუგებს ბასუხებს, მშვენივრად ითვლიან მასწავლებლის ახსნას.

სკოლის შესახებ 14 თებერვალს კრებას ჰქონდა ბ-ნს ექვთიმე ბერძნიშვილს, რომელსაც ამ სკოლის აშენების საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის. იგი აპირებდა სკოლის აშენებაზე დახარჯულ ფულის შესახებ ცნობების წაკითხვას, მაგრამ დანიშნულს დროს 40 კაცამდე მოვიდა მხოლოდ და ამიტომ ანგარიშის წაკითხვა შემდეგისთვის გადადო.

*** ქუთაისიდგან სწერენ „ახ. მიმ."-ს, რომ ტყიბულის საბოქაულო ნაწილის ბოქაულად ჰნიშნავენ ნოვოჩერკასის მე-145 ქვეითა რაზმის პორუჩიკს შლოტგაუერს.

*** 22 თებერვალს, ერევნის გზა-ტკეცილზედ, რაჭის მაზრის მცხოვრებს იოს. ფიცხელაურსა და ტფილისის მოქალაქეს ვ. ბერიევს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც ფიცხელაურმა ხანჯლით დაჰკრა თავში ბერიევს. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო დამნაშავე შეიპყრეს.

*** რუსულ გაზეთებს სწერენ, რომ 15 თებერვალს სოფ. სკრის მახლობლად ამ სოფლელს ივანე მამულაშვილსა და დუშეთის მაზრის სოფ. ჩორჩოხის მცხოვრებელს ს. საბიაშვილს საძოვრის გამო ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც მამულაშვილმა ხანჯლით მუცელში დაჰკრა საბიაშვილი. ჭრილობა იმდენად მძიმეა, რომ საბიაშვილი საშიშ მდგომარეობაშია თურმე. მამულაშვილი შეუპყრიათ.

*** „ახ. მიმ."-ს სწერენ, რომ გორის მაზრის სოფ. ბრილში, ღამე, 15 თებერვალს ბოროტ-გამზრახველთ გაჰქურდეს გლეხი ჯიოშვილიო. წაუღიათ სხვა-და-სხვა ნივთები და თამასუქები 80 მანეთისა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქურდობა ჩაუდენიათ ბრილის მცხოვრებთ ევ. ხოგოშვილსა და ვას. ჯიოშვილს. ხოგოშვილი შეუპყრიათ, ხოლო ჯიოშვილი გაქცეულა. ზომები მიუღიათ იმის შესაპყრობათ.

## წერილი სვანეთიდგან

საუცხოვო ზამთარი სდგას ჩვენში; თოვლი ნახევარს აღლს არ აღემატება და ტერმომეტრი მარტო სამჯერ დაეშვა 10 გრადუსამდე, სახელდობრ 5, 6 და 18 იანვარს; 24-ს წვიმაც-კი იყო. ამ მხრივ წრევანდელი ზამთარი ჰგავს 1895 წლისას, როდესაც ასე ცოტა თოვლი იდგა და 27-ს იანვარს, როგორც შემონიშნავს უბის წიგნში, წვიმაც ყოფილა. ხალხს არ მოსწონს იანვრის წვიმა, რადგან მისის ფიქრითა და გამოცდილებით, იანვარში წვიმამ კვირიკობის თვეში გვალვა იცისო, რაიცა სრულიად აფუჭებს სვანეთში ნამუშევარს.

მამა კაცები ჩვეულებრივ სამუშაოდ არიან წასულნი ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილას და ამიტომ ყოველგვარი ოჯახური საქმე მარტო ქალებს აწევთ კისერზედ. სიღარიბემ ძალა დაატანა სვანს და ზამთრობით უნდა მოსცილდეს თავისს ოჯახს, სადაც უწინ არხეინად ატა-

---

ლით მინახავს, რომ ცხრა-ათის წლის ბავშვი თავის მშობლებს ლანძღვით იკლებდეს! აბა ამისთანა ზრდილობის ბავშვი სხვას ვის დაინდობს და ან რომელ მასწავლებლის რჩევა-დარიგებას მიიღებს, როცა დედ-მამისა არაფერი ეყურება?!

ამას დავუმატოთ ის გარემოება, რომ სოფლად ცუდაობის დროს, უქმე დღეებისთვის არავითარი ჩვეულება, რომელსაც შეეძლოს აცილოს დიდი და პატარა მავნე უსაქმურობას, ახლა ბარად სრულიად აღარ არსებობს. ძველად სცოდნიათ დიდთა და პატარათა თავ-მოყრა ადგილ-ადგილ: აქ იმართებოდა თურმე ზღაპრობა, შაირობა, გამოცანებისა და მოსწრებულ სიტყვების თქმა, სამხიარულო-სასაცილო არაკების მორიგად მოყოლება და ბევრი რამ სხვა გონებისა და ზნეობის გამწვრთნელი ჩვეულება. შემდეგ ამისა იწყებოდა ლხინი, თამაშობა, ჭიდაობა, ბურთაობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ არამც თუ ყმაწვილნი, არამედ მოხუცებულნიცკი, და ასე აღამებდნენ მთელს უქმე და ცუდა დღეს. ყოველივე ეს, ეჰვი არ არის, აცილებდა, ნებას არ აძლევდა არც დიდსა და არც პატარას სხვა რამ ზნეობის გამრყვნელ საქმისათვის მიეყო ხელი. ეხლა-კი ამისთანას ველარას ჰნახავს კაცის თვალი. თითოეული ოჯახი თავისთვის შეკეტილა: განცალკევდა მეზობელი მეზობელს და დაირღვა სოფლის ერთობა-კავშირიო.

ვთქვათ ახლა ცოტა რამ მთის ქართველებისაც ამ საგნის შესახებ [3]). მთაში დედ-მამა, ოჯახის წევრნი თითქმის ყველანი სცდილობენ, რომ ბავშმა მალე გაიგოს უფროს-უმცროსი ოჯახში და შესაფერის პატივისცემითა და თავაზით მოექცეს თითოეულს მათგანს (არ ვამბობ იმას, რომ მთაში-კი არ იყოს ისეთი წევრი ოჯახში, რომელიც ბავშვს არ ანებივრებდეს, მდაბიურად რომ ვთქვა, არა ჰრყვნიდეს, მაგრამ ეს შემთხვევა ნაკლებად არის იქ); ისინი გააცნობენ ბავშვს თავისს მახლობელ და შორეულ ნათესავებს და უნერგავენ იმათს სიყვარულსა და პატივისცემას (ნათესაობა ძალიან გრძლად იციან მთიელებმა), ნებას არასოდეს არ მისცემენ ბავშვს, რომ უზნეოდ მოექცეს ვისმე, თუნდა გულუბრყვილობით მოსვლოდეს ეს. ამასთანავე ასწავლიან მეზობლის პატივისცემასა და თავაზით მოპყრობას. აქაური ბავშვი ისე ექცევა თავისს მეზობელს, თავისის სოფლის უფროსთა და უმცროსთ, როგორც ოჯახის წევრთ. ყველა თავისის სოფლისა, ქალია იგი თუ ვაჟი, კაცია თუ დედაკაცი, თავისს ღვიძლ ძმად, დად, დედად და მამად მიაჩნია, რის გამოც დიდი კრძალვა და რიდი აქვს იმათი [4]). ვიტყვი იმასაც, რომ ბავშვს გარედ, სოფელში გამოსვლის დროს საკმაო მასალა აქვს შეძენილი ხალხურ სიტყვიერებიდგან: იცის რამდენიმე მომცრო ზღაპარი, რამდენიმე საგმირო შინაარსის ლექსი, ბლომად გამოცანები, რაც ბარად ახლა ძალიან იშვიათი შემთხვევაა.

ახლა გავუშვათ ბავშვი გარეთ და თვალ-ყური ვადევნოთ, იქ რაღა დახვდება, რა შეეფეთება თვალებში? გარეთაც, სოფლად, საზოგადოებაში მთიელი ბავშვი იმავე ზნეობრივ და გონებრივ წრთვნასა ჰხედავს, იმავე აღმზრდელ გარემოებათ ეხება, რომელთაც საკუთარ სახლში იყო შეჩვეული. გარეთაც ისე უთვალ-ყურებენ მეზობლები, მეტადრე უფროსი კაცები, ბავშვის ყოფა-ქცევას, როგორც შინაურები. ამ რიგად მთის ბავშვი გონების დამწიფებამდე, კაცობამდე და შემდეგაც სულ მეთვალყურეობის ქვეშ არის, და ეს არც არავისა სწყინს, პირ-იქით, ძვირად აფასებენ უფროსის რჩევა-დარიგებას:

ადგილის დედა [5]) ჩიოდა:
სოფლის უფროსი კვდებაო!
ნუ მოჰკლავ, დამბადებელო;
სოფლობა წაგვიხდებაო!
—
ბერო, ბერობას ნუ სჩივი,
დაკლებას თვალებისასა;
გავლა-გამოვლას ეცადე,
რიგებას სოფლობისასა;
სწორად სამართალს მისცემდე
თავისასა და სხვისასა [6]).

ამიტომაც იქაურ სოფელს დიდი ერთობა აქვს. მთის სოფელი შემიდარებია მრავალ წევროვან და რიცხოვან ოჯახისათვის.. მგონია, რომ ბარადაც ასევე იქნებოდა ძველად, მაგრამ ეხლანდელმა ჩვენმა გაჭირვებამ, ახალის ცხოვრებით მონათლულმა, ხალხს ყველაფერი მიატოვებინა, დაავიწყებინა. ფრიად სასურველია, რომ ამ ახალს ცხოვრებას, რომელიც ნელ-ნელა მიიწევს მთისაკენაც, სკოლამ მიასწროს, რათა შინაური, თემური წეს-რიგი ახალგაზდათა აღზრდა-წვრთნისა სკოლაში გადავიდეს პირდაპირ, უშუამავლოდ.

ფშაველიშვილი

---

[3]) მთის ქართველებს ვეძახი იმათ, რომელთაც ბატონყმობის სუნი არაოდეს არ მისდენიათ და თემურის ადათ-ჩვეულებებით გაუტარებიათ თავიანთი ისტორიული ცხოვრება. ესენი არიან: თუშები, ფშავლები, ხევსურები, მთიულ-გუდამაყრელები და მოხევეები. ამათგან ფშავლების ჩვეულებანი მაქვს სახეში.

[4]) მარტო ის ჩვეულება, რომელიც შეუღლების ნებას არ აძლევს ერთის სოფლის ქალ-ვაჟთ, მგონია ზნეობრივის აღზრდის შესაწევნელად და განსამტკიცებლად უნდა იყოს მოგონილი. ეს ჩვეულება განუმარტებლადაც ბევრსა ლაპარაკობს ზნეობის სასარგებლოდ.

[5]) „ადგილის დედას" ფშაველი ღვთისმშობელს უწოდებს. ყოფელ სოფელსა ჰყავს ადგილის დედა. ამ ჩვეულებას სათავე იმ გარდმოცემაში უნდა ჰქონდეს, რომელიც გვეუბნება: საქართველო ღვთისმშობლის წილ-ხდომილი ქვეყანა არისო.

[6]) მეორე ვარიანტი:
სიბერეს ნუ ითაკილებ,
დაკლებას თვალებისასა..
მოგცემენ უფროსობასა
პატარა ბალღებისასა;
სასწოროდ გაუჯავრდოდე
თავისასა და სხვისასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა დროს. ძლიერ გამოიცვალა უკანასკნელს ხანებში სვანების ეკონომიური ყოფა-ცხოვრება: ხალხი თანდათან ღარიბდება, პირველი მიზეზი სიღარიბისა სახნავ-სათეს ადგილების ნაკლებობაა. რაც ამ ოცის წლის წინად ერთს ოჯახს ჰქონდა მიწა-ადგილი, იგი დღეს სამს და ოთხს უჭირავს, და, რასაკვირველია, თუ ერთის ოჯახისთვის საკმაო სახნავ ადგილმა ოთხი ოჯახი ვერ გამოჰკვებოს. ადგილის სივიწროვეს სვანებმა მარტო ეხლა მიაქციეს ყურადღება და შარშან რამდენმამე მოსახლემ სთხოვა მთავრობას სამოსახლო ადგილი დალის ხეობაში, აფხაზეთში, მაგრამ უარი მიიღეს საყოველთაო ცნობილ მიზეზისა გამო. ორი გზა-ღა დარჩენია ხალხს: გაიწიოს ენგურის ჩაყოლებით ორთავე ნაპირას, სამეგრელოსკენ, და ცხენის წყლის სათავეში მდებარე ადგილებისკენ, სადაც მე-XIV—XV საუკუნოებში 400 მეკომურს უცხოვრია და სადაც ამ ჟამად მხოლოდ ოთხი მეკომური-ღა ბინადრობს. მდ. ენგურის ჩაყოლებაზედ, სადაც ყოველ წელიწადს ემატება მცხოვრებთა რიცხვი, უწინ ბევრი მოსახლე ყოფილა; ამას ამტკიცებენ ნასოფლარები, ნაეკკლესიარი და სხვ. შესანიშნავია, რომ აქ ძველად საჭირო ადგილას წყალი აკურის მილებით ჰქონიათ გაყვანილი, რასაც ეხლა ხშირად ჰხედავს ხალხი ყანების ხვნის დროს.

სიტყვამ მოიტანა და აქ ერთი ამბავი უნდა გაცნობოთ: შარშან ზაფხულს ერთ ამ ადგილთაგანში ჩუბეხეველმა სვანმა, როდესაც სათიბს წყალს უკვალავდა, ნახა მიწაში დაფლული თიხის ქოთანი და შიგ ოქროს მანეთები, მისის სიტყვით თოთხმეტი (ეხლა-კი ამბობს, ოც-და-ერთიო) და რაღაც ნივთები და თვლები, მაგრამ სახელდობრად რა — არავის უმხელს მნახველი. ოქროს მანეთი მე თითონ მინახავს; ზომით და წონით ეხლანდელ ხუთ მანეთიან ოქროს ტოლა არის; ერთს მხარეს დახატულია ბიუსტი გვირგვინოსან მეფისა და კიდეზედ სამი ბერძნული ასოა დაწერილი, მეორე მხარეზედ დახატულია ოთხფეხი ცხოველი, ძელზედ შემდგარი და იქვე დახატულია პურის თაველი. ვისია ეს ფული, ან რომელ საუკუნეს ეკუთვნის—არ ვიცი.

ექიმი და მომრიგებელი-მოსამართლე, დიდი ხანია, რაც ზამთრობით სვანეთში არა სცხოვრობენ, თუმცა სვანეთში მოსამსახურეებად ითვლებიან. ამას არა სანატრელი შედეგი მოსდევს ხალხისათვის: უექიმობის გამო სვანი უბრალო ავადმყოფობის მსხვერპლი ხდება და ეთხოვება ამ წუთი-სოფელს. თუ სვანეთში რომელიმე მოსამსახურე ავად გახდა, ერთობ ძვირად უჯდება ექიმის აქ უმყოფლობა. ერთი აქ მოსამსახურეთაგანი შარშან ზამთარში წამოიღეს ჯალავრით ექიმთან 150 ვერსის მანძილზედ და მეორეც ამ მოკლე ხანში. ადვილი მისახვედრია, რა ხარჯიც მოუნდებოდა ამ გვარ და ამ სიშორეს ჯალავრით გასეირნებას. სამის წლის წინად, ერთს აქაურს მღვდელს ცოლი გაუხდა ავად. ცაგერიდგან ექიმასა და ბებიაქალის მოყვანა, როგორც სარწმუნოდ მითხრეს, 150 მანეთი დაუჯდა. რაც შეეხება მომრიგებელ-მოსამართლის ზამთრობით, ე. ი. ათის თვით სხვაგან ყოფნას, ის შედეგი მოჰყვა, რომ თუ ყველა არა, ათიდგან ცხრა დანაშაულობა მაინც დაუსჯელი რჩება, რადგან, სხვა-და სხვა გაიძვერა კაცის მოხერხებით დამნაშავე თავს იძვრენს მის მიერ ცხადად ჩადენილ-ბოროტ-მოქმედებისაგან. ამ გარემოებამ ის აზრი დაჰბადა სვანებში, რომ ვითომ რუსის კანონი დამნაშავეს არ სჯიდეს და ამ უკანასკნელმა უფრო გაახშირა—უწინდელთან შედარებით—ავკაცობა.

როგორც მკითხველი ხედავს, ამ მხრით სვანეთის საქმე რიგიანად არ მიდის, მაგრამ, ამისდა მიუხედავად საიმედო ნიშნებსაც ვხედავთ: მე მოგახსენებთ სვანეთში სკოლების დაარსების ამბავს. წარსულის წლის სექტემბრიდგან აქ დაარსდა სამი სკოლა, სამივე კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით. სწორედ ღირსია ყოველ-გვარის მადლობისა და ქება-დიდებისა ეს საზოგადოება, რომელიც დიდი ხანია სცდილობს მოჰფინოს სკოლები როგორც სვანეთში, ისე კავკასიის სხვა-და-სხვა მთიულთა შორის განურჩევლად ეროვნებისა. ხოლო კერძოდ, რაც შეეხება ზემოხსენებულის სამის სკოლის დაარსებას, სვანეთში, იგი სულ ერთიანად მიეწერება საზოგადოების სკოლების ინსპექტორ-მისიონერის ბ-ნ ე. ბ. მამინაიშვილის მეცადინეობასა და მხნეობას. დარწმუნდა თუ არა ადგილობრივ ბ-ნი ინსპექტორი, რომ სვანეთში სკოლების დაარსება არის საჭირო, ერთის მხრით თავის მთავრობას აცნობა ეს საჭიროება და მეორეს მხრივ დააბეჯითა ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც შესაძლებელი შემწეობა გამოაღებინა. მხოლოდ მოყვსისა და საქმის სიყვარულს შეუძლიან იმ ენიშრომა მიაღებინოს ადამიანს, რამდენიც აიტანა ბ-ნმა ინსპექტორმა სკოლების დაარსებისათვის. იგი ივნისშივე, როდესაც საცხენოსნო გზა შეკრულია სვანეთის მთებზედ, გადმოვიდა ფეხით 10,000 ფუტის სიმაღლის მქონე მუშურის უღელტეხილზედ და თვე ნახევარი დაჰყო სვანეთში დღე-და ღამ მეცადინეობასა და შრომა-ჯაფაში. ერთი უბრალო სოფელიც არ დაუტოვებია, რომ არ მისულიყო და არ ექადაგნა ხალხისათვის როგორც მისსიონერს და ინსპექტორს. თავისი აზრიანისა და მარტივის ქადაგება-დარიგებით დაიმსახურა ყურადღება როგორც სამღვდელოებისა, ისე ხალხისა. ვინატრებთ, რომ ბ ნს ინსპექტორს სისრულეში მოეყვანოს ეცერში მეორე კლასიან სასწავლებლის დაარსების საქმე და ამითი დაეგვირგვინებინოს თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა სვანეთში. ეს საქმე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რადგან ამ განზრახვას ადგილობრივ თავადნი და დეშქელიანები უხვს შემწეობას ჰპირდებიან. იმედია, „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ ამასაც ისე მხურვალედ მოეკიდება, როგორც ეკიდება ყოველს სხვა კეთილ საქმეს საზოგადოდ.

თ. ს—ი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნებითი-ქრისტიანი,** (კავკასის მაზრა). ეს სოფელი კავკავზედ 46 ვერსით მოშორებულია, ბარი ალაგია და შესდგება ათასი კომლისაგან. მცხოვრებნი გვარ-ტომობით დიგორელი ოსები არიან, ასე რომ იმათს ენასა და სხვა ოსების ენას შორის დიდი განსხვავებაა. სახნავ-სათიბი და სამოვარი მიწა ძლიერ ცოტა აქვს ამ სოფელს; სხვა ბარის ოსების სოფლებში კომლზედ თუ ორმოცი დესეტინა მოდის, აქ კომლზედ რვა დესეტინაზედ მეტი არ მოსდით. მაგრამ ქირაობენ მიწებს თუღანოვების მამულში და იქ თესვენ ყანებს. ამ სოფლის მცხოვრებნი ალებმიცემობას, მეფუტკრეობას და ხვნა-თესვას მისდევენ და ისეთი მეცადინე, გამრჯე და მხნე ხალხია, რომ ღარიბ კაცს ძნელად შეხვდებით და ვერც ჩალით დახურულს სახლსა ჰნახავთ. სწავლა-განათლების მხრივ მთელს ოსეთში ამ სოფელს პირველი ალაგი უჭირავს. შუა სოფელში ყვებერთელა ორ-კლასიანი ვაჟების საეკკლესიო-სამრევლო სკოლაა და ქალებისა—ერთ-კლასიანი. ორივე სკოლა ერთს შენობაშია მოთავსებული. ვაჟების სკოლაში ოთხი მასწავლებელია, ქალებისაში-კი ერთი (ქალი). ორს მასწავლებელს თითონ სოფელი აძლევს ჯამაგირს. ამ სოფელს აგრეთვე აქვს ორი წერა-კითხვის სკოლა, რომელთაც ცალკე მასწავლებელი ჰყავს. საზოგადოდ ამ სოფელში მცხოვრებნი ძალიან მეცადინენი არიან.

როგორც ზეპირ-გადმოცემა ამბობს, აი რათ ეძახიან ამ სოფელს „ნებითი-ქრისტიანის“ სოფელს: უწინდელს დროს, რასაკვირველია, ყველა ესენი მთაში სცხოვრობდნენ. როცა დიგორის მთებიდგან გადმოსახლდნენ ბარად, მაშინდელმა მთავრობის წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს თურმე გადმოსახლებულთ: „ვის გსურთ ქრისტეს რჯული და ვის მაჰმადისაო“. ხალხი შუაზედ გაიყო. ამ სოფელმა თავისის ნებით ისურვა ქრისტიანობა და ამიტომ შერჩა სახელწოდება: „ნებითი-ქრისტიანი“, (Вольно-Христянское селеніе). მეორე ნახევარს ისურვებია მაჰმადიანობა, დასახლებულა ამ სოფლიდგან ოცის ვერსის მოშორებით და დარქმევია: „მახამეთის სოფელი“ (მახამეთ ყაუ).

ამ სოფელს ორი მღვდელი და ორი მედავითნე ჰყავს და ჯერ-ჯერობით ეკკლესია-კი ერთი აქვს. მეორე ეკკლესიის აგებისათვისაც განაჩენი დაადგინეს და აშენებას აპირებენ. ამ სოფლის შვილს ძლიერ ბევრს აქვს მიღებული სწავლა, რომელნიც სხვა-და სხვა ალაგას არიან სამსახურში. ეს ნასწავლნი დღესასწაულებში, საზაფხულოდ, როცა ამ სოფელში ბრუნდებიან ხოლმე, ხშირად ჰმართავენ საღამოებსა და წარმოდგენებს, რასაც მცხოვრებნი აღტაცებით ეგებებიან. იანვრის სამსაც სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა რუსულს ენაზედ, აქაურს სკოლის დარბაზში ამავე სკოლის სასარგებლოდ. მოქმედების ასრულების დროს, შიგა და-შიგ, საერო სიმღერებსა ჰმღეროდნენ ხოლმე შეგირდები (ვაჟები და ქალები) მასწავლებლის ს. ბერდიაევის ლოტბარობით.

ხალხი აუარებელი დაესწრო წარმოდგენას, როგორც ამ სოფლელნი, ისე არდონიდგან მოსულებიც, და დიდად ნასიამოვნები დარჩა.

ქართველი ოსებში

## რუსეთი

ამ ბოლოს დროს რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა რიცხვი თან-და-თან მრავლდება. ამა წლის პირველ იანვრისათვის რუსეთში სულ 216 სამეურნეო საზოგადოება ითვლებოდა და 153 მათი განყოფილება. ყველა ეს საზოგადოება ემორჩილება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს.

— როგორც იგივე გაზეთი იუწყება, პეტერბურგში მოსულან ამერიკელ კაპიტალისტთა წარმომადგენელნი და ფინანსთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ მათ კავკასიაში ნავთის კვლევა-ძიებას შეუდგნენ და შემდეგ იჯარით აიღონ ადგილები ნავთის საწარმოებლად.

— როგორც „Новост-“-ი იუწყება, აზრადა აქვთ პეტერბურგის მახლობლად დააარსონ მერძეობის სასწავლებელი ქალთათვის. ასეთი სასწავლებელი რუსეთში პირველი იქმნება.

## უცხოეთი

**ინგლისი.** გამოჩენილს სტატისტიკოსს ინგლისისას სერ რ. გიფის შეუდგენია ერთი დიდი წიგნი, რომელშიაც დაწვრილებით არის ნაჩვენები 1871 წლიდგან რამდენად იმატა ბრიტანიის იმპერიაში მცხოვრებთა რიცხვმა და სახელმწიფო შემოსავალმა. გაზეთებს რამდენიმე ცნობები მოჰყავთ იმ წიგნიდგან:

1871 წლიდგან იმპერიას მოჰმატებია 125 მილიონი მცხოვრები, ასე რომ ამ ჟამად იმპერიაში ითვლება 407 მილიონი ქალი და კაცი, ე. ი. ერთი მეოთხედი დედამიწის ზურგზედ ყველა მცხოვრებისა. ამ 407 მილიონიდგან ინგლისელები არიან 50 მილიონი. 1897 წელს იმპერიას ჰქონდა შემოსავალი $6^1/_2$ მილიარდი გირ. სტერლინგი; 1871 წლიდგან შემოსავალმა იმატა 3 მილიარდით, ხოლო გარდასახადს მოუმატა იმ წლიდგანვე ინგლისელებზედ $69^0/_0$ და დამორჩილებულ ერებზედ $98^0/_0$. ვაჭრობამ იმატა 1871 წლიდგან 11 მილიარდ გირ. სტერლინგით და ეხლა ვაჭრობის ბალანსი უდრის 35 მილიარდს. ყველაზედ უფრო წინ მსვლელობა ეტყობა (როგორც ხალხის გამრავლებით, ისე შემოსავლისა და ვაჭრობის გაძლიერებით) სამხრეთ აფრიკას. იმპერიისათვის ეკონომიურ კეთილდღეობის მხრივ ყველაზედ მომეტებული მნიშვნელობა აქვს ინდოეთს, სადაც ხალხის რიცხვს მიემატა 73 მილიონი სული და რომელიც იძლევა $2^1/_2$ მილიარდ შემოსავალს.

ძლიერ დიდს მნიშვნელობას აძლევს გიფი აფრიკაში ახლად შეძენილ ადგილებს, რომლებშიაც იმპერიას მიემატა 34 მილიონი მცხოვრები. მისის აზრით აფრიკაში ისეთივე იმპერიის დაარსება შეიძლება, როგორიც ინდოეთია. გიფი ძლიერ სწუხს, რომ ინდოეთის მკვიდრთ ჯერ-ჯერობით სხვა წყარო არა აქვთ-რა ცხოვრებისა მიწის ნაწარმოების გარდა და ამიტომ მუდამ შიშში არიან მოუსავლობისა და შიმშილის მხრივ. ახალშენების მხრივ გიფი ადარებს ინგლისს სხვა სახელმწიფოებს და იმ აზრს ადგია, რომ მომავლისათვის ინგლისს არავითარი შიში არა აქვსო.

—

**საფრანგეთი.** როგორც შვენ ვიცით, „პატრიოტთა ლიგის“ თავმჯდომარემ დერულედმა და მისმა ამხანაგმა გაბერმა საფრანგეთის ეხლანდელი წესწყობილების დამხობა მოინდომეს და ამ განზრახვით ჯარის-კაცთ ურჩევდნენ ელისეს სასახლეში წამოგვყევითო. დერულედიც და გაბერიც მაშინვე პოლიციას დაატუსაღებინა გენერალმა როჟემ, და შემდეგ მთავრობამ დეპუტატთა პალატას სთხოვა ნება-რთვა ამ ორი კაცის პასუხის გებაში მიცემისა. ნება-რთვა იმიტომ ითხოვა სამინისტრომ, რომ დერულედი და გაბერი დეპუტატები არიან და დეპუტატების სამართალში მიცემისათვის საჭიროა პარლამენტის თანხმობა.

„Journal des Debats“-ი ამბობს ეხლა, რომ მთავრობისათვის საჭირო არ იყო პალატის ნება-რთვა დერულედისა და გაბერის სამართალში მიცემისათვისაო. კონსტიტუციის ძალით პარლამენტის ყველა წევრი, რომელსაც-კი ბოროტ მოქმედების დროს მიასწრობენ, დაჭერილ უნდა იქმნას პარლამენტის დაუკითხავადო. ამას გვეუბნება 1875 წლის 16 ივნისის გამოცემულ კანონის მე-14 მუხლიო, ამბობს გაზეთი და თანაც დასძენს, რომ ამ კანონის აუსრულებლობა უფრო გააძლიერებს პარლამენტის უფლებას და მთავრობას მნიშვნელობას მოაკლებსო.

—

**ფილიპინები.** ზოგიერთ გაზეთების სიტყვით, მანილია ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობაში ყოფილა. მეამბოხეები უფრო თავ-გამოდებით იბრძვიან თურმე და ქალაქში ხან ერთს ადგილას ატეხდება არეულობა და ხან მეორე ადგილას. უცხო სახელმწიფოთა გემებიდგან, ამერიკელების სურვილის წინააღმდეგ, ჯარები გადმოყვანილ იქმნა მანილაში თავიანთ ქვეშევრდომთა დასაფარავად. ქალაქს ყოველ მხრიდგან მტერი ახვევია. გენერალი ოტისი-კი ატყობინებდა თავისს მთავრობას, რომ ჩვენი საქმე კარგად მიდის და არაფრის შიში არა გვაქვსო.

— გაზეთების სიტყვით, მანილიასა და იმის მიდამოებში ცეცხლს გაუნადგურებია 150 ფიცრულის სახლი და ქვითკირის—60, აგრეთვე 8000 ქოხი ადგილობრივ მკვიდრთა. ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებათა აგენტები სახლის პატრონებისათვის ფულის მიცემის უარს ამბობენ თურმე, და საბუთად ის მოჰყავთ, რომ პასუხი გენერალ ოტისმა უნდა აგოსო, რომელიც შეჰპირდა მცხოვრებლებს, რომ მათი სიცოცხლე და ქონება უზრუნველ ყოფილი იქმნებაო.

## დამკვირდი

დგომა მგზავრისა ცთომაა.

შოთა რუსთაველი

***

მცირე ჭკუას მცირე საგანი გააკვირვებს.

ალ. ს—ლი

***

პირმოთნეობა სიცრუვის დედაა.

მაწყვერელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

არც ერთის ცხოველის შესახებ არ არის ხალხში გავრცელებული იმდენი თქმულება და სხვა-და-სხვა საზარელი ამბავი, როგორც აფთარისა ანუ მგელ-კაცას შესახებ. ჯერ ისევ უწინდელ დროში ვინ იცის, რას არა სწერდნენ ამ საშინელ ცხოველის შესახებ. ამბობდნენ, მაგალითად, რომ თუ ვინიცობაა აფთარისა ანუ მგელ-კაცას ჩრდილი მიადგა ძაღლს, ძაღლს იმ წამსვე წაერთმევა ხმა და გონებაო; ამბობდნენ, რომ მგელ-

კაცას შეუძლიან ადამიანის ხმა მიიღოს და ამით მიიტყუილოს კაციო. ამტკიცებნენ, რომ დედამიწის ზურგზე მგელ-კაცაზე ბოროტი, დაუნდობელი და ვერაგი არცერთი ცხოველი არ არისო. თვით სახელი აფთარი სიბოროტის გამომხატველ სახელად მიაჩნდა და მიაჩნია ხალხს. ყველგან, სადაც-კი აფთარი ყოფილა და არის, ხალხში გავრცელებულია ათასგვარი ამბავი ამ საზიზღარ ცხოველის შესახებ. ხოლო ყველაზე ბევრი ამბავი და თქმულება გავრცელებულია არაბთა შორის. არაბი დარწმუნებულია, რომ თუ კაცმა მგელ-კაცას ტვინი შესჭამა, ჰკუაზედ შეიშლებაო. ამიტომ არაბები სცდილობენ რაც შეიძლება ღრმად ჩაფლან ხოლმე მიწაში მოკლულის მგელ-კაცას გვამი, რომ ბოროტმა კაცმა არ მიაგნოს მძოვრს, არ ამოსთხაროს და მერე იმისის ტვინით არავინ მოსწამლოსო. ზოგი კიდევ დარწმუნებულია, მგელ-კაცას დღისით ადამიანის სახე აქვს, ადამიანთა შორის დადის და ღამე-კი მგელ-კაცად გადიქცევა, და ძრწის და სცდილობს ვის რა დავუშავო, ყელი ვის გამოვჭრაო.

„ეგ ცხოველი ადამიანის მტერიაო, —უამბობდა შესანიშნავს მოგზაურს ბრეჰს იმისივე მსახური ალი. ერთი შეხედვით შეუძლიან გაუჩეროს ადამიანს სისხლის მოძრაობა, გაუხჩოს შიგნეულობა და წაართვას გონება. ერთმა ჩვენმა უფროსმა ჰურშიდ-ფაშამ (დალოცოს ამისათვის უფალმა!) ბძანა დაეწვათ რამდენიმე სოფელი, სადაც მრავლად იყო ეს მგელ-კაცა, მაგრამ კიდევ მაინც ბევრი დარჩა ხალხის სატანჯველად. თუმცა ალლაჰი ჯოჯოხეთში ჰგზავნის ამ ბოროტ-სულებს, მაგრამ ვიდრე ცოცხალნი არიან, ხალხი კარგს იზამს შეევედროს ხოლმე უფალს, რომ ამ მავნე სულელებისაგან დაიფაროს. თვით საბრალო ჰურშიდ-ფაშაც ვერ გადურჩა ამ ბოროტ-სულთა შურის ძიებას და უდროოდ გარდაიცვალა.“

„გარწმუნებთ,—განაგრძო არაბმა,—რომ მეც ერთხელ დიდს საფრთხეში ვიყავი და მხოლოდ უფალმა გადამარჩინა განსაცდელს. მე და ჩემი ძმა ერთხელ სანადიროდ წავედით და ვნახეთ, რომ მრავალი მგელ-კაცა შემოხვეოდა აქლემის მძოვრს. ის-ის იყო თოფი უნდა მესროლა, რომ ერთმა ბრძენმა შეიჰმა გვითხრა: „ყური დაუგდეთ მაგათ ხმას. როგორა გგონიათ, ცხოველის ხმასა ჰგავს ეგ ხმა, თუ არა? არა! ეგ ხმა უფრო ტანჯულ კაცის ხმას წააგავს. გარწმუნებთ, როს მგელ-კაცა ცხოველი-კი არ არის, არამედ ცოდვილი კაცია, რომელსაც უფალმა მრავალ ცოდვათა გამო მიუსაჯა საუკუნო ტანჯვა. განა არ გესმით, რომ მაგათი ხმა სატანას ხარხარს წააგავს. კარგად იცოდეთ, რომ ეგ ხარხარი მართლა ეშმაკის ხარხარია. გარწმუნებთ, რომ ბევრი ცოდვა დაუტრიალებიათ დედამიწაზე“... ასე ამბობდა ბრძენი შეიჰი და ჩვენც შევისმინეთ იმისი დარიგება. ხელი აღარ გვიხლია ამ ცხოველებისათვის. მაგრამ მთელ ღამეს გვესმოდა იმ დაწყევლილ აფთრების ყვირილი, თითქოს ერთმანერთს ლანძღავდნენო. (ღმერთმა დაგვიფაროს სატანას ერგულ მსახურთაგან), მერწმუნე ბატონო, დიდი უბედურება გადაგხდება თავს, თუ ხელი ახლო მაგ საშინელს აფთრებს“.

მართლაც და მგელ-კაცა სწორედ რომ საზიზღარი ცხოველია. მსხვილი და უშნო კისერი აქვს, მოკლე კუდი, შავი მატყლი, პატარა, აბრეცილი და ანთებული თვალები.. ხმა სწორედ რომ საზარელი აქვს, თითქოს ხარხარებსო, მასთან გაუმაძღარი რამ არის, ისე დადის, თითქო კოჭლობსო და ცუდი სუნიც უდის.

მგელ-კაცა ძლიერ ბევრია მთელს აფრიკაში და სამხრეთ აზიაშიაც. მთიანი ადგილი უყვარს. სანადიროდ ღამე გამოდის მთელი ხროვა. საჭმელის გარჩევა არ უყვარს. რაცა ხვდება—სჭამს. აყროლებულს ლეშს ძლიერ ეტანება. ყველგან, სადაც-კი ეს ცხოველი არის, ხალხი სცდილობს იმის გაწყვეტას.

# დეპეშა

24 თებერვალი

**პეტერბურგი.** 23 თებერვალს ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ბრძანდებოდა პეტერბურგის მუნჯთა სასწავლებელში.

**პარიჟი.** სენატი. იკისრა რა პრეზიდენტობა, ფალიერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მადლობა გარდაუხადა ამხანაგებს არჩევისათვის და შემდეგ შეაქო ლუბე, მოაგონა-რა სენატს მისი მანიფესტი, რომლითაც რესპუბლიკის პრეზიდენტი სთხოვს პარლამენტს დახმარებას ქვეყნის დამშვიდებაში. „სენატიო,—ამბობს ფალიერი,—პატივისცემად ჩაითვლის ამ მოწოდებას მიეგებოსო. დამამშვიდებელი ნიშნები ნებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ შორს არ არის ის დღე, როცა სრულიად გაჰქრება ეს დროებითი უსიამოვნება. წინააღმდეგმა ქარმა, რომელიც ასე ძლიერ არხევდა ზევითა ნაწილს, ვერ შეარყია საფუძველი, რომ დაევიწყნა ჩვენს დემოკრატიას თავასი მოვალეობა და ინტერესებიო“. დემოკრატიამ არ მოაკლო თვისი ნდობა ჯარს, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი ვერ ააცილებს თვისის მოვალეობის ასრულებას: დემოკრატია მოთმინებით მოიცდის, ვიდრე მართლმსაჯულება თავისს მოვალეობას შეასრულებს და ისე მიეგებება განაჩენს, როგორც ერთად ერთს სიმართლეს. ეს ამოდენა ხალხის სინიდისს დაიხსნის სასტიკის ძალ-დატანებისაგან (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

**ტულონი.** ხმა დადის, რომ არსენალის მახლობლად იპოვნეს დინამიტის თორმეტი პატრონა. დაბეჯითებით ამბობენ, რომ ვიღაც უცნობმა კაცმა სამჯერ ესროლა რევოლვერი არსენალის დარაჯს, თუმცა ვერაფერი დაუშავა. ეს ხმები ხალხზე ჰმოქმედობს.

# მოწოდება

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ნატანებში ახალის ეკკლესიის ასაგებად დაარსებული კომიტეტისაგან:

საყვარელნო ქრისტეს მიერ ძმანო და დანო!

წარსულ 1897 წლის ენკენისთვის 13-ს წყალ-დიდობის დროს მდინარე ნატანებმა ჩაიტანა ზღვაში ჩვენი, წმიდა ნიკოლოოზის სახელობაზედ აგებული ეკკლესია, რომელიც იმყოფებოდა შეკვეთილში ანუ ნიკოლაევსკში და, რომლის მრევლი, ეგებ დიდის ხნით მოკლებული ნუგეშს საზოგადო ღვთის ვედრებაში მონაწილეობისას, თავისის სარწმუნოებრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად იძულებულია იაროს სხვა მრევლთა შორეულს ეკკლესიებში, რაიცა სოფლის უგზოობისა და ზამთარ-შემოდგომაში ჩვეულებრივის უამინდობისა და მდინარეთა ადიდების გამო, მეტის-მეტად მოუხერხებელია, ზოგჯერ-კი შეუძლებელიცაა და საშიშიც. ხოლო საეკკლესიო კრებულსაც, თავისს ეკკლესიას მოკლებულსა და აგრეთვე იძულებულს სხვა ეკკლესიათა საკურთხევლის წინაშე თავ-შესაფარის ძებნად, არ გვგონია შეეძლოს ყოველთვის თავისს მრევლისათვის სამსახურის აღსრულება, განსაკუთრებით უეცარ შემთხვევაში, როგორც მაგალითად უძლურ-შობილთა მოსანათლავად, მომაკვდავთა საზიარებლად და სხვა ამგვარობაში. და თვით კრებულისა და მრევლისა ურთიერთთაგან განშორება, თუნდ მცირე დროითაც, რაკი გაწყვეტილი იქმნება იმათ შორის ეკკლესიის მიერ შემაერთებელი კავშირი, წარმოადგენს ფრიად უსიხარულო მოვლინებას, რომელიც უქადის შესუსტებას იმათ შორის ჯეროვანს სულიერ-ნათესაურს ურთიერთობას, დაფუძნებულს მოციქულთა და ეკკლესიის წმიდა მამათა აღთქმათა ზედა.

საჭიროა ამიტომ დაუყოვნებლად აგებულ იქმნეს ახალი (ქვისა, თუ ხის) ეკკლესია, რომლის აშენებაც განზრახულია სადგურ ნატანებში, როგორც უფრო საჩინო და შუაგულ ალაგას შედარებით შეკვეთილთან.

გარნა შეკვეთილის დაობლებულ მრევლს მარტოს სიკუთარის საშუალებით ახალის საყდრის ასაგებად არ შესწევს ღონე, მით უფრო, რომ ამ მრევლში ითვლება ორთაოთავე სქესთაგან 200 სულზედ არა უმეტეს. და იმისგან საყდრის აღსაშენებლად შეძლებისა და გვარ შემოწირული წვლილი, რომლის შემოტანაც ტვირთ-იდვა ყოველ წლიურად ვიდრე ეკკლესიის დასრულებამდე,— იმდენად მცირეა, რომ გარეშე შემოწირულებათაგან გაუძლიერებლად შესაძლო იქნება შეუდგეს კაცი მხოლოდ მუშაობის დასაწყისს ზომითაცა და შნოითაც სულ უმცირესის სახლისას ღვთისას.

ამიტომაც ნებართვითა და კურთხევითა გურია სამეგრელოჲს ეპისკოპოსად ნამყოფის ყოვლად-უსამღვდელოესის გრიგოლისათა, რომელმაც მიიღო ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა, სადგურ ნატანებში ახალ ეკკლესიის ასაგებად დაწესებული კომიტეტი მოიწოდებს ყველა გულ-შემატკივართ, ვინც-კი შესძლებს და მოიწადინებს თანაგრძნობა განუცხადოს ამ კეთილ საქმეს და თავისის შეძლებისადაგვარად წვლილის შემოწირვითა და, შემოძღვნილი წვლილი, რა გინდ მცირეც იყოს იგი, მიღებულ იქმნება უღრმესის კმაყოფილების გრძნობითა და ლოცვა-მადლობითა.

შემოწირულება როგორც ფულით, ისე ნივთით (მაგალითებრ: საეკკლესიო ავეჯეულობითა, საღვთისმსახურო წიგნებით დ სხ.), უმორჩილესად გთხოვთ წარმოიგზავნოს სადგურ ნატანებში ახალ ეკკლესიის ასაგებლად დაარსებულ კომიტეტის თავმჯდომარის მღვდელის სერგი გალოგრეს სახელობაზედ (ოზურგეთს), ანუ ბათუმის ოლქის ბლაღოჩინის, დეკანოზ ალექსანდრე რალცევიჩის სახელობაზედ (გადასაცემად დანიშნულებისამებრ.)

დასასრულ უგულმოდგინესი მთხოვნელი გახლავართ, რომ ჟურნალ გაზეთების რედაქციებმაც, ამ წმიდა საქმის უფრორე წარსამატებლად, არ გვიყონ უარი ამ მოწოდების გადასაბეჭდავად თვისთა გამოცემათა ფურცლებზედ, და თუ მიუვიდეს რაიმე შემოწირულება კეთილ-მოწადინე შემომწირველთაგან, კეთილ-ინებონ შეწირულის წარმოგზავნა ზემო აღნიშნულ ადრესით.

1898 წ. ქრისტეშობისთვის 20 დღეს.
სადგურ ნატანებში ახალი ეკკლესიის ასაგებლად დაარსებული კომიტეტი.


# განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცრიმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჰორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ფუფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—5)

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ ПУДРЫ.
средство
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.



Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ.—9)


# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 თებერვლისათვის 1899 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | 8843 | 64 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 4214 | 03 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 10000 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი | 1603 | — |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | 2317 | 25 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 212689 | 33 |
| პროტესტში წასული თამასუქები | 250 | — |
| VII. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 7100—74; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 9389—20; გ) საქონელზედ 18983— —; დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 7576—90 | 43049 | 84 |
| VIII. დასაბრუნებელი ხარჯი | 177 | 62 |
| IX. მოწყობა-მომართვა | 834 | 84 |
| X. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 262 | 23 |
| XI. სხვა-და-სხვა დებიტორები | 373 | 88 |
| XII. საზოგადოების საკუთარი სარგებლ. ქაღალდები | 16 | 30 |
| XIII. გარდასაცემი თანხა | 182 | 95 |
| XIV. მიმდინარე ხარჯი | 1275 | 50 |
| ს უ ლ | 286090 | 41 |

**პასივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 688 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 73373 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს) | 2457 | 58 |
| III. შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით 100838—49; ბ) ვადით 96230— —; გ) უვადოდ 1200— — | 198268 | 49 |
| IV. გარდასაცემი თანხა | 1454 | 34 |
| V. გარდასახდელი სარგებელი | 1215 | 09 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | — | 29 |
| VII. სარგებელი განსაკუთრებულის მიმდინარე ანგარიშისა აზოვო-დონის საკომ. ბანკ. განყოფილებაში | — | 35 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად | 500 | — |
| IX. მიღებული სარგებელი | 1985 | 49 |
| X. წმინდა მოგება 1898 წ. | 6835 | 78 |
| ს უ ლ | 286090 | 41 |
| პასუხის-მგებლობა 688 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 660357 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 3900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | 750 | — |

(1—ნ.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლის და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსის თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდების, კუპონების და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელზე და სასოფლო ნაწარმზედ—9%, თუ საგანგებო მიმდინარე ანგარიშით არის გაცემული სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Февраля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.